

**მრავალსმიანი ქართული ხალხური სასიმღერო
მეტყველების ერთი არტიკულაციური
თავისებურების შესახებ**

არტიკულაციის პრობლემა თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიის აქტუალურ პრობლემათაგანია. მოკლედ შევაჯამებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში მასთან დაკავშირებულ დასკვნებს. არტიკულირება ზეპირი ტრადიციის მუსიკის არსებობის განმსაზღვრელი საშუალებაა. ეთნომუსიკისმცოდნეობის ცენტრში დგას ადამიანი და კონკრეტული ტრადიციით, გენეტიკით განპირობებული მისი არტიკულირების პროცესი. პროცესი, რომელიც სიმღერის შექმნას, შესრულებასა და აღქმას აერთიანებს. ასეთი გაგებით, არტიკულირება არა მარტო წარმოთქმითი, არამედ ქცევითი კატეგორიაა. არტიკულირება (სოლო, და მით უფრო კოლექტიური) ხალხისათვის ზეპირი ტრადიციის მუსიკის დაფიქსირების ერთგვარი იარაღია. არტიკულაცია მჭიდროდაა დაკავშირებული ანთროპოლოგიურ, ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან და უნებურად გვევლინება ეთნიკურ მახასიათებლად. მუსიკალური ხელოვნების ინტონაციური ბუნების გამო, იგი გამოირიცხავს ერთი მუსიკალური ენიდან მეორეზე თარგმნის შესაძლებლობას. თვით არტიკულირების პროცესში დევს ძალიან მძლავრი ინფორმაცია. სემანტიკურ დატვირთვასთან ერთად, იგი სემიოტიკურ, ანუ ნიშნურ ფუნქციასაც ატარებს (Çai öi ânîêê, 1991).

ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში არტიკულაციის პრობლემა საგანგებო კვლევის საგნად არ ქცეულა. თუმცა-ღა, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით ბევრი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული. სადიპლომო ნაშრომიდან მოყოლებული (1980-83 წწ.), რომლის მიზანს ქართულ ხალხურ სიმღერაში პოეტური და მუსიკალური ტექსტის შინაარსობრივ-სახეობრივი და კომპოზიციურ-სტრუქტურული ურთიერთმიმართების შესწავლა წარმოადგენდა, რამდენიმე სტატია მივუძღვენი ამ თემას (კალანდაძე-მახარაძე, 1993; 2002). აღნიშნული პრობლემატიკით ჩემი დაინტერესება მთლიანად ჩემი პედაგოგის – ბ-ნ ევსევი ჭოხონელიძის დამსახურებაა. სწორედ მისი ხანგრძლივი დაკვირვებები და ღრმა მეცნიერული ნააზრევი დაედო საფუძვლად შემდგომში ჩემს მიერ ჩატარებულ კვლევა-ძიებას. ამიტომ, საჭიროდ მიმაჩნია, მსჯელობისას მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნიშნები გამოვიყენო.

ჩვენი გამოკვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ბ. ასაფიევის ინტონაციური თეორია (Ârîâð ùââ, 1965, 1971). ფოლკლორისტიკაში მისი მიმდევრების – სანკტ-პეტერბურგის სკოლის წარმომადგენლების – ზ. ევალდის, ი. ზემცოვსკის გამოკვლევები (ÿââêüâ, 1934, Çai öi ânîêê, 1972, 1974, 1987). ვიყენებთ ისტორიულ-შედარებითი, სისტემური და კომპლექსური ანალიზის ხერხებს. გამოქვეყნებული სანოტო კრებულების გარდა, მოხმობილია ხელნაწერები, ახალი ნოტირებული მასალა, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის საექსპედიციო ფონოფონდი, ხალხური საკრავების თბილისის სახელმწიფო მუზეუმის ვიდეოჩანაწერები.

არტიკულაცია (ლათ. *articulatio* – დანანევრებულად წარმოთქმა) სამეტყველო ორგანოთა მოძრაობას ჰქვია (აბაშიძე, 1975:589). ენობრივი ერთეული არტიკულირებადი ბუნების მქონე სინთეზური ერთეულია. (რამიშვილი, 1995:54). ხალხურ სიმღერაში სიტყვიერი და მუსიკალური ტექსტი საერთო ფონეტიკურ კანონზომიერებებს ექვემდებარება. ადვილი შესამჩნევია, რომ კოარტიკულაციის პრინციპებიდან გამომდინარე, მღერისას ორიენტაცია ძირითადად ხმოვან ფონემებზეა აღებული. თუმცა, ჩვენთვის ნაცნობი ზოგიერთი ხალხის და, მათ შორის, ქართველების მეტყველებაში. განსაკუთრებით კი სასაუბრო დიალექტებსა და სასიმღერო მეტყველებაში ყურადღებას იპყრობს თანხმოვან ფონემათა წარმოთქმის უაღრესად საინტერესო ფაქტი. ქართულის (როგორც იბერიულ-კავკასიური ენათა ჯგუფის ერთ-ერთი განშტოების) ამ თავისებურებას ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მიაქციეს ყურადღება. ავსტრიელი ენათმეცნიერი და ეთნოგრაფი ფრიდრიხ მიულერი აღნიშნული ენათა ჯგუფის ერთ-ერთ სტრუქტურულ თავისებურებად სწორედ თანხმოვანთა სიმრავლეს, მათ ერთად თავმოყრას მიიჩნევდა (ჩიქობავა, 1980:69-70). ენათმეცნიერები თანხმოვანად მიიჩნევენ სამეტყველო ბგერას, რომლის წარმოთქმის დროს ჰაერნაკადს დაბრკოლების გადალახვა უხდება. ხშვის, ან ნაპრაღის გადალახვისას იგრძნობა სამეტყველო ორგანოთა მეტი დაჭიმულობა. წარმოიქმნება ხმაური – ჩქამი. მათივე აზრით, თანხმოვან ფონემას არ გააჩნია მარცვლის წარმოქმნის უნარი (კვაჭაძე, 2001:47-58). ჩვენი დაკვირვებები კი ცხადყოფენ, რომ ცოცხალ მეტყველებასა და მით უმეტეს, სიმღერაში თანხმოვან ფონემას ხშირად დაჰყვება ნახევარხმოვანი (შეად., ქართ. – თან-ხმოვანი, რუს. – *н-сонн* *и́*, ლათ. – *con-sonans*), რაც დამოუკიდებელი მარცვლის წარმოების შესაძლებლობას ქმნის და ასე ვთქვათ, შეწყვილებულ ბგერათკომპლექსს გვაძლევს. ქართულ ხალხურ სასიმღერო მეტყველებაში გაქვავებული ეს ფონემები სვანეთის ხუროთმოძღვრებაში შემორჩენილ შეწყვილებულ კომპლექსსა ჰგვანან (იხ. დანართი, სურ. 1).

საგულისხმოა, რომ ქართულში ვოკალიზებულია არა მხოლოდ მჟღერი თანხმოვნები, არამედ ე. წ. ყრუ თანხმოვნებიც (ქართულში 15 უტონო თანხმოვანია). უფრო მეტიც, ეს მოვლენა სტილურ კატეგორიად იქცევა. არ არსებობს არანაირი დიალექტური, თუ ჟანრული შეზღუდვა, საგალობლებისა და ქალაქური მუსიკის ორივე განშტოების ჩათვლით; დამახასიათებელია როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა და ბავშვთა ტრადიციული სასიმღერო შემოქმედებისათვის; როგორც ერთხმიანობისათვის, ისე მრავალხმიანობისათვის. მაშასადამე, არის ზოგადქართული მოვლენა. რაც უფრო შორს მივდივართ, გეოგრაფიულად და ქრონოლოგიურად, ანუ მთის ეთნოგრაფიულ რეგიონებში, მით უფრო საოცარ ნიმუშებს ვაწყდებით. (იხ. სურ. 2 – ხევსურული „ნანე“ და სურ. 3 – მთიულური „ნანა“, სადაც დიდ მანძილზეა გამღერებული ნუნისმიერი წარწარა „რ“, ან „ლრ“).

საგანგებო ინტერესს იწვევს თანხმოვანთა ჯგუფის ვოკალიზების ფაქტი დასავლეთ საქართველოს მთაში, სვანეთში. აქ, ვერტიკალში, საფერხულო მწყობრში სამივე ხმის მიერ ერთდროულად წარმოთქმულ ნახევარხმოვანი თანხმოვანთა რაოდენობა ზედიზედ სამს აღწევს. იხ. სურათი 4 – „დალა კოჯას ხელღვაჟაღე“, სადაც ხახისმიერი „ყ“, წარწარა „ლ“, ბაგისმიერი „პ“ ერთმანეთის მიყოლებით ნახევარხმოვნებთან ერთად ჟღერს „ნეხ“ მარ-

ცვლის ნინ. თანხმოვნების ამგვარად წარმოთქმა დაფიქსირებულია ფერხულის ყველა აუდიოჩანაწერში. საგულისხმოა, რომ იგი დღემდე ყოველწლიურად სრულდება ნაყოფიერების ღვთაების – კვირიკეს სახელზე გამართულ დღესასწაულზე, რომელიც ზემო სვანეთში (სოფ. კალა) ივლისის ბოლოს ტარდება. თანხმოვანთა ვოკალიზების ეს პრინციპი შენარჩუნებულია ნიმუშის უფერხულო ვარიანტებშიც, რომელსაც მამაკაცები ჭუნირისა და ჩანგის თანხლებით ასრულებენ (გურასაშვილი, 1989).

ნიმუშის ტექსტში მოთხრობილია ნადირობის ქაღვთაება დალის კლდეში მშობიარობის ამბავი (იხ. მე-4 სურათის განმარტებანი: სიტყვიერი ტექსტი სვანურ-ქართულ-ინგლისურ ენებზე და საფერხულო მოძრაობებთან დაკავშირებული ნახატები მე-5 სურათზე – ა) სანყისი მდგომარეობა, ბ) მოძრაობის მიმართულება და გ) ნაბიჯის ორი ვარიანტი). აღნიშნული ფერხულის ვარიანტები დაფიქსირებულია ქალთა, მამაკაცთა და შერეული შესრულების სახითაც. დალი ქართული მითოლოგიის პერსონაჟი, „წმინდა“ ნადირთა (ჯიხვი, არჩვი, ირემი) პატრონი და მფარველია. სვანური მითოსის თანახმად, მას აქვს დახოცილი ნადირის აღდგენა-გამრავლების უნარი. მას შეეძლო მონადირეთათვის ხელის მომართვაც და ზიანის მიყენებაც. ცნობილია მისი სამიჯნურო კავშირები რჩეულ მონადირეებთან, რომელიც მონადირეთა ღალატის შემთხვევაში, მათი დაღუპვით მთავრდებოდა. უცნობ მონადირესთან ერთად იგი ამირანის მშობელია. ამირანი კი, ქართული მითოლოგიის მთავარი გმირია, გილგამეშისა და პრომეთეს მსგავსად, საკაცობრიო მნიშვნელობის სახეა. კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანი თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა.

დალის კულტი სხვა ხალხშიც გვხვდება (ვაინახებთან, შუმერებთან, ძვ. აღმ. რელიგიაში). რელიგიის განვითარების ასტრალურ საფეხურზე დალი ცისკრის ვარსკვლავს – მთიებს დაუკავშირდა. ქართულ ფოლკლორისტიკაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი მატრიარქატის ეპოქის კეთილი ღვთაება იყო, რომელმაც შემდეგ ბოროტი ალის თვისებები შეიძინა (ბარდაველიძე, 1953:88-89; ვირსალაძე, 1964:77). ნადირობასთან და ამირანთან დაკავშირებული რიტუალური ფერხულების არსებობა საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალითაც დასტურდება (იხ. სურ. 6).

კონტექსტის გათვალისწინებით დავასკვნით, რომ ამ ფერხულში შემორჩენილი ჩვენთვის საინტერესო ეს კონკრეტული მოვლენა ძალიან ძველია და იგი ქართული ფუძე-ენის ჩასახვა-განვითარების ეტაპებზეც მიგვანიშნებს. ენაში (აქაც და ყველგან) ვგულისხმობთ ვერბალური, მუსიკალური და კინესიკური ენების სინკრეტს. ანთროპოლოგების, არქეოლოგებისა და ენათმეცნიერების აზრით, უძველესი ქართული ფუძე-ენა, რომელიც, თავის მხრივ, იბერიულ-კავკასიურ ენათა განშტოებას წარმოადგენს, შუა ბრინჯაოს ხანაში (III ათასწლ. დასასრულსა და II ათასწლ. I ნახევარში) უკვე დაშლილი უნდა ყოფილიყო. ამასთან, ჯერ გამოეყო სვანური, შემდეგ კი მეგრულ-ჭანური (აბდუშელიშვილი და სხვანი, 1986:459). თუ გავითვალისწინებთ, რომ დაშლამდე პერიოდს, ალბათ, წინ გაუსწრებდა ჩამოყალიბება-თანაარსებობის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი, ეს თარიღი კიდევ უფრო შორს გადაიწეოს და სავსებით ნათელი გახდება ქართული ფოლკლორის, ქართული კულტურული მემკვიდრეობის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა. ცხადია, არქაულობასთან

ერთად, აქ მისი მაღალმხატვრული დონეც უნდა გავითვალისწინოთ.

ენათმეცნიერები თვლიან, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართული ენის ბგერითი სისტემის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო თავისებურებას საოცარი ფონეტიკური კონსერვატიზმი წარმოადგენს (გამყრელიძე, 1989:125). ჩვენი მხრიდან კი დავძენთ, რომ უძველესი ქართულის ბგერითი შემადგენლობა, არსებითი ხასიათის ფონეტიკური გარდაქმნების გარეშე, დღემდე შემოგვრჩა ქართულ ხალხურ სასიმღერო მეტყველებაში. თითოეული სიმღერა ერთგვარი მუზეუმი, რომელშიც ცოცხალი „ენობრივი ექსპონატები“ ინახება.

ქართული მრავალმხიანი საფერხულო სიმღერების არტიკულაციური პროცესების განხილვა უკავშირდება უძველესი მეტრულ-რიტმული თავისებურებების შესწავლას. მხედველობაში გვაქვს ერთ მეტრულ საზომში გაერთიანებული სამი თვლა (იხ. სქემა მე-4 სურათის განმარტებაში), რომელიც სამი სამყაროს კოსმოგონიური ერთიანობის ერთ-ერთ უძველეს გამოვლინებად მიგვაჩნია. წარმართობიდან მომდინარე ეს სააზროვნო პრინციპი ქრისტიანობის ეპოქაში ბუნებრივად მიესადაგა სამება-ერთარსების მართლმადიდებლურ გაგებას. ამასთან, აშკარად ჩანს, რომ მელოდიის, ლექსთწყობისა და ქორეოგრაფიის განმსაზღვრელი ბუნება დაღმავალი, დაქტილურია. იგი ერთი გრძელი და ორი მოკლე საზომისაგან შესდგება, სადაც მახვილი პირველ მარცვალზე მოდის (ბერაძე, 1969:119).

ამ ფაქტის აღიარება მიგვიყვანს ხალხური სიმღერის შესრულების, მისი სანოტო ფიქსაციის, სასიმღერო ტექსტების მეტრულ-რიტმული საზომების გადააზრების პრობლემასთან, რომლის შესახებ მსჯელობას ამჯერად არ განვაგრძობთ.

დამონებული ლიტერატურა

აბაშიძე, ირაკლი. (მთ. რედ.). (1975). *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ. 1, (გვ. 589), თბილისი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

აბდუშელიშვილი, მალხაზ, მუსხელიშვილი, დავით და სურგულაძე, ირაკლი. (1986). *ქართველები*. აბაშიძე, ირაკლი (მთ.რედ.). *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*. ტ. 10, (გვ. 458-461). თბილისი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

ბარდაველიძე, ვერა. (1953). *ქართული (სვანური) სანესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ბერაძე, პანტელეიმონ. (1969). *ძველი ქართული ლექსთწყობის საკითხები*. თბილისი: უნივერსიტეტი.

გამყრელიძე, თამაზ. (1989). *წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა*. თბილისი: უნივერსიტეტი.

გვარამაძე, ლილი. (1997). *ქართული საცეკვაო ფოლკლორი*. თბილისი: საქართველოს კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი.

გურასაშვილი, მარიამ (ექსპედიციის ხელმძღვ.) და მაღლაკელიძე, ზაზა. (ოპერატორი). (1989). *სვანეთი* (ვიდეოფილმი). ხალხური საკრავების თბილისის სახელმწიფო მუზეუმის ვიდეოარქივი. 1/1.

ვირსალაძე, ელენე. (1964). ქართული სამონადირეო ეპოსი (დაღუპული მონადირის ციკლი). თბილისი: მეცნიერება.

კალანდაძე-მახარაძე, ნინო (1993) პოეტური და მუსიკალური ტექსტის შინაარსობრივ-სახეობრივი ურთიერთმიმართების საკითხისათვის ქართულ ხალხურ სიმღერაში. საბჭოთა ხელოვნება, 2:135-147.

კალანდაძე-მახარაძე, ნინო (შემდგენელი). (2000). აკვნის ნანა. სანოტო კრებული წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. თბილისი: საქართველოს კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი (წინასიტყვაობა ქართულ-ინგლისურ ენებზე).

კალანდაძე-მახარაძე, ნინო (2002) არტიკულირების პროცესი და ქართული ხალხური სიმღერა. შ. რუსთაველის სახ. ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის თეზისები. (გვ. 44-46). თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება-სთან არსებული ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭო.

კვაჭაძე, ლეო. (2001). ქართული ენა. თბილისი: რუბიკონი.

ლეჟავა, სამსონ. (2002). არქიტექტურის დესაკრალიზაცია — სამყაროს მოდელის გადააზრება, თუ მისი დაშლილობა? (საქართველოს მაგალითზე). ACADEMIA. ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი. 3:22-28. თბილისი: თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ასოციაცია (ინგლისური რეზიუმით).

რამიშვილი, გურამ. (1995). ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჩიქობავა, არნოლდ. (1980). იბერიულ-კავკასიური ენები. აბაშიძე, ირაკლი (მთ. რედ.). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 5, (გვ. 69-70). თბილისი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

Àñàò ùàà, Áòðèñ. (1965). *Èà-áààÿ èí ò í í àòèÿ. Í ññàà: Mócùn èà.*

Àñàò ùàà, Áòðèñ. (1971). *Í óçú èàèùí àÿ ó í ðí à, èàé ÿ ðí òáññ. Èçà. 2-à. Èáí èí ðàà: Í óçú èà.*

Çàì òí àñèèé, Èçàèèé (1972) *Í ñèñòàì ííì èññèááí àáí èè ó í èùèèí ðí ò ò æáí ðí à. Á èí .: Í ðèí à, Á è àð.(ðàà. è èè.). Í ðí áéáí ù í óçú èàèùí í é í àóèè. ò.1, (ñòð. 169-197), Í ññàà: Ñí àáòñèèé èí ÿ ÿ ÷èò ð.*

Çàì òí àñèèé, Èçàèèé. (1974) *Ñàì àñèí èí ðèÿ ÿ óçú èàèùí í ðí ò í èùèèí ðà (í àòí àí èí ðè-áñèèá í ðàáí í ññèèé). Á èí .: Áðáí í àñèèé, í àðè. (ðàà.) Í ðí áéáí ù í óçú èàèùí í áí ÿ ð èáí èÿ. (ñòð. 177-207), Í ññàà: Í óçú èà.*

Çàì òí àñèèé, Èçàèèé. (1987) *Í óçú èàèùí ù à èí ñòðí àí òù è ÿ óçú èàèùí í à ÿ ð èáí èà. Á èí .: Àèí ÿ èóñ, Ááááí èé (ðàà.). Í àðí áí ù á ÿ óçú èàèùí ù á èí ñò ðóí áí ò ù è èí ñò ðóí áí ò àèù-í àÿ ÿ óçú èà, ÷. 1, (ñòð.125-131) Í ññàà: Ñí àáòñèèé èí ÿ ÿ ÷èò ð.*


Çàì òí àñèèé, Èçàèèé (1991) *Àðòèèèèÿèÿèÿ ò í èùèèí ðà, èàé çí àè ÿòí è-áñèí é èóèùòð. Á èí .: Áðí ÿ èáé, Ì .(ðàà.) Ýò í í çí áéí áàÿ ó óí èòèÿ èóèùò óð. (ñòð.152-189), Í ññàà: Í àóèà.*

Ýáàèùà, Çèí àèàà. (1934). *Ñí òèàèùí í á í àðáí ñí ù ñèáí èà æ èáí ù ò í áñáí ááèí ðóññèí á ÿ ÿ èáñÿ. Ñí àáò ñèàÿ ÿò í í áðàò èÿ, 5:17-39.*


References

- Abashidze, Irakli. (Ed. in Chief). Articulation. *Georgian Soviet Encyclopedia*, Vol. 1 (p. 589). Tbilisi: Georgia Soviet Encyclopedia. (In Georgian)
- Abdushelishvili, Malkhaz, David Muskhelishvili and Irakli Surguladze. (1986). *Georgians*. In: Abashidze, Irakli (ed. in Chief). *Georgian Soviet Encyclopedia*, Vol. 10 (pp. 458-461). Tbilisi: Georgian Soviet Encyclopedia. (In Georgian)
- Asafiev, Boris. (1965). *Speech Intonatsia*. Moscow: Muzika. (In Russian)
- Asafiev, Boris. (1971). *Musical Form as a Process*. 2nd Edition. Leningrad: Muzika.
- Bardavelidze, Vera. (1953). *Specimen of Georgian (Svanetian) Graphic Art*. Tbilisi: Georgian Academy of Science. (In Georgian)
- Beradze, Panteleimon. (1969). *Questions of Ancient Georgian Poetical Structure*. Tbilisi: Tbilisi State University. (In Georgian)
- Chikobava, Arnold. (1980). Iberian-Caucasian Languages. In: Abashidze, Irakli (Ed. in Chief). *Georgian Soviet Encyclopedia*, Vol 5 (pp. 69-70). Tbilisi: Georgian Soviet Encyclopedia. (In Georgian)
- Evald, Zinaida. (1934). Social Rethinking of Crop-Cutting Songs of the Buelo-Russian Polesiye Region. *Soviet Ethnography* 5:17-39. (In Russian)
- Gamkrelidze, Tamaz. (1989). *Alphabetical System of Writing and the Ancient Georgian Writing System*. Tbilisi: University. (In Georgian and Russian)
- Gurasashvili, Mariam (Leader of the Fieldwork) and Zaza Maglakelidze (cameraman) (1989). *Svaneti* (Documental Video). Videoarchive of the Tbilisi State Museum of Traditional Musical Instruments. 1/1 (in Georgian)
- Gvaramadze, Lili. (1997). *Georgian Dance Folklore*. Tbilisi: Research Centre of Traditional Art at the Ministry of Culture of Georgia. (In Georgian)
- Kalandadze-Makharadze, Nino. (1993). Question of Interrelationship of Content/Image of Poetic and Musical Texts in Georgian Folk Songs. *Sabchota Khelovneba* (Soviet Art) 2:135-147. (In Georgian)
- Kalandadze-Makharadze, Nino. (2000). *Cradle Lullaby*. Collection of Musical Notations with the Foreward and Notes. Tbilisi: Research-Methodic Centre of the Folk Art at the Ministry of Culture of Georgia. (In Georgian. Foreward also in English)
- Kalandadze-Makharadze, Nino. (2002). Proces of Articulation and Georgian Folk Song. In Zandukeli, Pikria (Ed.). *Abstracts of the Republican Conference of the Shota Rustaveli Institute of Georgian Language and Literature* (pp. 44-46). Tbilisi: Coordinative Council of the Folklore of the Department of Language and Literature at the Academy of Science of Georgia. (In Georgian)
- Kvachadze, Leo. (2001). *Georgian Language*. Tbilisi: Rubicon. (In Georgian)
- Lezhava, Samson. (2002). Desacralization of the Architecture – Rethinking of the Model of the World, or Its' Destruction? (On the Example of Georgia). *ACADEMIA. Historico-Philological Journal* 3:22-28. Tbilisi: Association of the Contemporary Research. (In Georgian, with English Summary)
- Ramishvili, Guram. (1995). *Contentual Differences Between the Languages According to Linguistics and the Theory of Culture*. Tbilisi: Tbilisi University Press (In Georgian)
- Virsaladze, Elene. (1964). *Georgian Hunting Epos. (Cicle of Deceased Hunter)*. Tbilisi: Science. (In Georgian)
- Zemtsovsky, Izaly. (1972). On Systemic Study of Folklore Genres. In Orlov, G. et al (Eds.) *Problems of Musical Science*. Moscow: Soviet Composer. (In Russian)
- Zemtsovsky, Izaly. (1974). Semasiology of Musical Folklore (Methodological Premises). In Aranovsky, Mark (Ed.). *Problems of Musical Thinking* (pp. 177-207). Moscow: Muzika. (In Russian)
- Zemtsovsky, Izaly. (1987). Musical Instrumentats and Musical Thinking. In: Gippius, Eevgeni (Ed.). *Folk Musical Instruments and Instrumental Music*, part 1 (pp. 125-131). Moscow: Soviet Composer. (In Russian)
- Zemtsovsky, Izaly. (1991). Articulation of Folklore, as a Sign of Ethnic Culture. In: Bromley, Iury (Ed.). *Ethnosemantic Function of a Culture* (pp. 152-189). Moscow: Science. (In Russian)

სურათი 1. უშგულის ხედი. ზ. ლეჟავას ნახატი (ლეჟავა, 2002:25)
FIGURE 1. Ushguly. Painter Z. Lejava (Lejava, 2002:25)



შენწყვილებული კოშკი. უშგული. ზ. ლეჟავას ნახატი (ლეჟავა, 2002:23)
Ushguly. Twin-tower. Painter Z. Lejava (Lejava, 2002:23)



განმარტება სურათი 4-თვის.

EXPLANATION FOR THE FIGURE 4.



ka - y - da - a - re - ka
khi - k' - l - p - uc - kh,



* * *

I შაი, ვოი, რირე, რაშა, რეროშა, რაშა,
დალა კოჯას ხელღვაჯალე, რეროშა რაშა, შაი.

შაი..

II შაი, ვოი, რირე, რაშა, რეროშა, რაშა,
დალა კოჯას ხელღვაჯალე, რეროშა, რაშა, შაი.

ხელღვაჯალე თეთნამ კოჯა+ არს, რეროშა, რაშა, შაი.

ჟიქან ღვამლა+ არ ხენდერიალე, რეროშა, რაშა, შაი.

ჩუქან თხეროლ **ხოყღღპნეს**, რეროშა, რაშა, შაი.

დალა კლდეში მშობიარობს,

მშობიარობს თეთრ კლდეში,

ზემოდან ყორნები დასტრიალებენ,

ქვემოთ მგლები პირდაღებული გადაყლაპვას ღამობენ.

I Shaij, voij, rire, rasha, rerosha, rasha,

Saij,...

Dala gives birth on a cliff, rerosha, rasha, shaij


II Shaij, voj, rire, rasha, rerosha, radha, ...

gives birth on a white cliff,

overhead (corvus, corax) ravens circle,


below wolves wait.

სურათი 5. მხატვარი მ. ლოლიშვილი
 FIGURE 5. Painter M. Lolishvili





სურათი 6. არქეოლოგიური მასალა (გვარამაძე, 1997:190-191)
FIGURE 6. Archeological materials (Gvaramadze, 1997:190-191)

ბრინჯაოს სარტყელი (II ათასწლ. ჩვ. წ. აღ-მდე) ნადირობა
The bronze belt (II thousand years Old chronology) The hunt



ვერცხლის თასი. (II ათასწლ. ჩვ. წ. აღ-მდე) რიტუალური ფერხული
The silver bowl (II thousand years Old chronology) Ritual round dance.

ბრინჯაოს სარტყელი (IX-VIII ს.ს. ჩვ. წ. აღ-მდე) ნადირობა. ფრაგმენტი
The bronze belt (IX-VIII centuries Old chronology) The hunt. fragment.



ბრინჯაოს ფიგურები
(II ათასწლ. ჩვ. წ. აღ-მდე)
The bronze figure (II thousand years Old chronology)